სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5006476524

24/10/2024

5006476524

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური
ცენტრი "დელტა "-ს გენერალური დირექტორის
მოადგილეს ბატონ გრიგოლ კობიაშვილს

ბატონო გრიგოლ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N01155810 მომართვის (ბიუროს 2024 წლის 16 სექტემბრის რეგისტრაციის N1007478024) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N007416424 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 08 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600

5006476524

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი: _____ (ხელმოწერა) ბ.ა

თარიღი 30.10.2024

გაფრთხილება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა "

თანამდებობა: გენერალური დირექტორის მოადგილე

მოსამართი:

სახელი და გვარი: გრიგოლ კობიაშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ირაკლი ჭანტურია / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 17 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი № P-0826

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, დაგვიდგინოთ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტა"-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე (ფონიჭალის სადემილიტარიზაციო ბაზა) განთავსებული ჯართის წონის ერთეულის (1 ტონის) საწყისი სარეალიზაციო ღირებულება.

შესაფასებელია შემდეგი სახეობისა და საორიენტაციო რაოდენობის ჯართი:

- შავი ლითონის ჯართი - 450 ტონა;

- უჟანგავი ლითონის ჯართი - 2 ტონა;

- აკუმულატორის ჯართი (შიგღავსი სითხის გარეშე) – 22 ტონა, (აუქციონში გამარჯვებულმა აკუმულარორის ჯართის აწონვამდე უნდა უზრუნველყოს შიგთავსი სითხის გადაღვრა ფონიჭალის სადემილიტარიზაციო ბაზის მიერ წარმოდგენილ სპეციალურ ჭურჭელში).

დანართი ფოტო მასალა - 15 (თხუთმეტი) ფურცელი.

შემოსვლის თარიღი: 16/09/2024 წ

გასვლის თარიღი: 24/10/2024 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს მიერ წარმოდგენილი:

ერთი ტონა შავი ლითონის შენადნობის ჯართის საბაზრო ღირებულება, დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 480 ლარს.

ერთი ტონა უჟანგავი ლითონის შენადნობის ჯართის საბაზრო ღირებულება, დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2000 ლარს;

ერთი ტონა აკუმულატორის ჯართის საბაზრო ღირებულება, დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1700 ლარს.

იოსებ ჭანტურია

გამოკვლევა

სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს წარმომადგენლებმა ქ. თბილისში ფონიჭალის სადემილიტარიზაციო ბაზაზე ექსპერტს წარმოუდგინეს შესაფასებელი ქონება. ქონების დათვალიერებისას აღმოჩნდა შავი ლითონის ჯართი - სხვადასხვა სახის ლითონის ნაკეთობების, დეტალების, ბადეების და ფრაგმენტების, ასევე თუნუქის დეტალების და ნაწილების სახით; უჟანგავი ლითონის ჯართი - სხვადასხვა სახის ლითონის ნაკეთობების, დეტალების და ნაწილების სახით; აკუმულატორის ჯართი - სხვადასხვა სახის, ექსპლუატაციაში ნამყოფი (მოწოდებული ინფორმაციით მათი გამოყენება ფაქტიური ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია), შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარგისი აკუმულატორების სახით.

ძირითადი დაშვებები და შემზღუდავი პირობები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები: დასკვნაში წარმოდგენილი ღირებულება სარწმუნოა მხოლოდ აღნიშნული მიზნებისა და შეფასების თარიღისათვის.

- მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს. მის მიერ დადგენილ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში/ობიექტის სავარაუდო გასაყიდი ფასი/ და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით;
- შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდა შესაფასებელი ქონების განსაზღვრაზე.
- ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით;
- შემფასებლის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე;
- ინფორმაცია რომელიც იქნა მოწოდებული ქონების მფლობელის, ან მისი წარმომადგენლის მიერ სამუშაო წარმოების პროცესში მიღებული იქნა ყოველგვარი გადამოწმების გარეშე როგორც სწორი და მართებულად ამსახველი ობიექტის მდგომარეობისა შესაბამისი თარიღისათვის და გამოყენებული იქნა კვლევის პროცესში.
- წინამდებარე დასკვნა განუთვნილია მხოლოდ დამკვეთის მოხმარებისათვის და მხოლოდ ზემოთ მოხსენიებული მიზნებისათვის.

ღირებულების განსაზღვრა:

„საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომლითაც გაიცვლება ქონება შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის „გაშლილი მკლავის" პრინციპით ტრანსაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე". (IVS – 1, პარა.3.1.)

შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS) მიხედვით ქონების საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გაანგარიშებად სიდიდეს, როგორც ყველაზე სავარაუდო ფასს, რის საფუძველზეც ქონება შეფასების თარიღისათვის ნებაყოფლობით გამყიდველიდან, ნებაყოფლობით მყიდველთან გადავა ხელიდან ხელში, კომერციული გარიგების შედეგად, ამასთან

ბგულისხმება, რომ ყოველი მხარე მოქმედებს კომპეტენტურად, გააზრებულად და ძალდატანების გარეშე.

შეფასების მეთოდები:

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება საბაზრო ღირებულების განსაზღვრის სამი მიდგომა (მეთოდი): დანახარჯების მეთოდი, შედარების მეთოდი და შემოსავლების მეთოდი, რაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ვინაიდან ზოგჯერ არ არსებობს ხელმისაწვდომი ესა თუ ის ინფორმაცია. ამიტომ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება შეფასების ერთი ან ორი მეთოდი.

- დანახარჯების მეთოდით ღირებულების დადგენა დაფუძნებულია იმ ვარაუდზე, რომ ხარჯები გაწეული ქონების შექმნაზე წარმოადგენენ საფუძველს ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის.
- შედარების მეთოდისას, საბაზრო ღირებულების შესახებ მოსაზრება ყალიბდება შესაფასებელი ქონების შედარებით ისეთ მსგავს ქონების ობიექტებთან, რომლებიც იქნენ გაყიდული ან გამზადებულია გასაყიდად (შეთავაზებულია გასაყიდად). ამ მიდგომის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ქონების საბაზრო ღირებულება ყალიბდება შესადარებელი ქონების (ანალოგების) გაყიდვის ან შეთავაზების ფასებთან მიმართებაში.
- შემოსავლების მეთოდით საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ობიექტის გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების ერთიანობის საფუძველზე, პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდის, ან ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენებით.

შეფასების გამოყენებული მეთოდები:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ობიექტის შესაფასებლად ექსპერტის მიერ გამოყენებული იქნა შეფასების შედარების მეთოდი. შეფასების მეთოდის შერჩევა მოხდა შესაფასებელი ობიექტის სპეციფიკის და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

შედარების მეთოდის გამოყენებისას, საბაზრო ღირებულების შესახებ მოსაზრება ყალიბდება შესაფასებელი ქონების შედარებით ისეთ მსგავს ქონების ობიექტებთან, რომლებიც იქნენ გაყიდული ან გამზადებულია გასაყიდად (შეთავაზებულია გასაყიდად). ამ მიდგომის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ქონების საბაზრო ღირებულება ყალიბდება შესადარებელი ქონების (ანალოგების) გაყიდვის ან შეთავაზების ფასებთან მიმართებაში. ამრიგად შედარების მეთოდის პრინციპია - ღირებულების განსაზღვრა ანალოგიური ობიექტების ფასების ანალიზის საფუძველზე.

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ჩატარდა კვლევები მათი საბაზრო ღირებულებების დასადგენად. საქონლის საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური, (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისთვის/მყიდველისთვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია ანალოგიური ქონების ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან. საქონლის ღირებულების დადგენისას მხედველობაში იქნა მიღებული საქონლის ფაქტიური ფიზიკური მდგომარეობა, სამომხმარებლო, ხარისხობრივი და ფუნქციონალური მაჩვენებლები, შემადგენლობა.

შესაბამის ბაზარზე ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შედეგების შეჯერებით დადგენილი იქნა ფონიჭალის სადემილიტარიზაციო ბაზაზე წარმოდგენილი, შავი ლითონის, უჟანგავი ლითონის და აკუმულატორის ჯართების, ერთეულის (ერთი ტონა) საბაზრო ღირებულებები. სახეობების მიხედვით საბაზრო ღირებულებები, დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს: ერთი ტონა შავი ლითონის ჯართის - 480 ლარს, ერთი ტონა უჟანგავი ლითონის ჯართის - 2000 ლარს და ერთი ტონა აკუმულატორის ჯართის - 1700 ლარს.

იოსებ ჭანტურია

007416424

ექსპერტის დასკვნა № 007416424

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ნიკო ვაჩნაძე

007416424

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

ფოტო 9

ფოტო 10

ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13

ფოტო 14

ფოტო 15



ფოტო 16

ფოტო 17

ფოტო 18

ფოტო 19

ფოტო 20

ფოტო 21

ფოტო 22

ფოტო 23

ფოტო 24

3007445724

მიღება-ჩაბარების აქტი № 3007445724

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	24/10/2024

დოკუმენტი:

რეგისტრაციის ნომერი:	1007478024	**მომსახურების ტიპი:**	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	16/09/2024	**საქმის ნომერი:**	
ხელშეკრულების ნომერი:	2002175023	**ხელშეკრულების თარიღი:**	29/12/2023 - 31/01/2025
შეთანხმების ნომერი:		**შეთანხმების თარიღი:**	
დასკვნის ნომერი:	007416424		

ექსპერტიზის დამკვეთი :

სახელი და გვარი:	გრიგოლ კობიაშვილი
პირადი ნომერი:	
ორგანიზაცია:	სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა "
საიდენტიფიკაციო კოდი:	202297335
თანამდებობა:	გენერალური დირექტორის მოადგილე
დოკუმენტის შემომტანი:	ნიკოლოზ ზირაქიშვილი

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით)	**ობიექტების რაოდენობა**	**საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე**	**თანხა**
14013. - მოძრავი ქონების (საქონლის) საბაზრო (საცალო, საბითუმო) და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა	3	100	300
			ჯამი: 300.00
			საბოლოო ფასი: 300.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):

იოსებ ჭანტურია სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	**მიმღები პირი**
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი 30/10/2024

საჭიროა ანგარიშ-ფაქტურა